

## კოენ-ჰარპერ-ლევის მოდელი

კოენ-ჰარპერ-ლევის მოდელი შესწავლილი იქნა დ. პინკუსისა და კ. ფრიქრის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში “*Luzin sets and well ordering the continuum*”, *Proc. Americ. Math. Soc.* 49 (2), 1975, pp. 429-435, სადაც მათ მიერ დამტკიცებული იქნა ამ მოდელში ლუზინის სიმრავლის არსებობა. ამ ნაშრომის მთავარ შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ლუზინის არსებობს ZF-ში არ იძლეოდა ნამდვილი რიცხვების სავსებით დალაგებას. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება საერთო კვლევა პროფ. რალფ შინდლერთან ერთად. განხილული იქნება ზოგიერთი პარადოქსალური წერტილოვანი სიმრავლე, კერძოდ ვიტალის სიმრავლე, ბერნშტეინის სიმრავლე და სერპინსკის სიმრავლე და მათი ზოგიერთი თვისება კოენ-ჰარპერ-ლევის მოდელში.